ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

5165-05-2-202406251607

N 05/5165
25/06/2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და
სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ილია ვერძაძეს

ბატონი ილია,

თქვენი 2024 წლის 09/06/2024 წლის N09-02-16/291 წერილით წარმოდგენილ სადეპუტატო კითხვასთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ:

1. უკვე დაწყებულია შპს ,,ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისა“ და ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

2. როგორც მოგეხსენებათ, შვებულება დასაქმებულის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლებაა და მისი მიცემის წესი დარეგულირებულია შრომის კანონმდებლობით.

,,საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების შინაარს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა ,,ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი“, რომელიც ასევე დაწესებულების შინაგანაწესით უნდა იყოს განსაზღვრული. ამასთან, კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავს დაწესებულების მიერ ანაზღაურებადი შვებულების გაცემის ვალდებულებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის N87/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ,,დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი“, რომლის საფუძველზე დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება ენიშნება ყოველ დასაქმებულს/მოსამსახურეს დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში მსგავსი საკითხი არ დგას და ანაზღაურდება, როგორც საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდი, ასევე ანაზღაურებადი შვებულება.

6010 ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ №119
№119 acad. Mamia Komakhidze str. BATUMI
ტელ.\ფაქსი: (0-422) 24-79-71
tel . (0-422) 24-79-02

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო ზედამხედველობას საქართველოს შრომის კანონმდებლობაზე ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახური, რომელიც განიხილავს შრომითი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას.

კერძო სამედიცინო დაწესებულებებში შესაძლებელია არსებობდეს შრომის ნორმების დარღვევის ფაქტები, თუმცა დასაქმებულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის არ მოუმართავთ, ვინაიდან მოცემულ სფეროში კომპეტენტური ორგანო შრომის ინსპექცია გახლავთ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერმა დასაქმებულმა, რომელიც თვლის, რომ ირღვევა მისი შრომითი უფლება უნდა მიმართოს შრომის ინსპექციის სამსახურს.

3. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებულია ,,შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესი“, რომლის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნა გამოაქვს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას, რომელთა შერჩევა ხორციელდება სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ.

პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება. მხედველობაში მიიღება დაავადების ხასიათი, ორგანიზმის სისტემების და ორგანოთა ფუნქციურ დარღვევათა ხარისხი, მკურნალობისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ეფექტურობა, კლინიკური და შრომითი პროგნოზი, სოციალური ადაპტაციის შესაძლებლობები, პროფესია, შრომის კონკრეტული პირობები და ხასიათი.

აჭარის რეგიონში ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტებისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს შპს ,,მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი“.

4. ყოველწლიურად მზარდია მოსახლეობის მომართვიანობა სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამების, მათ შორის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში ჩართვისა და დახმარების მიღების მიზნით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქვეპროგრამათა ბიუჯეტის დაგეგმარება და შესაბამისი ზრდა ყოველწლიურად ხორციელდება წინა საბიუჯეტო წლებში მოქალაქეთა მომართვიანობის, ქვეპროგრამების ფარგლებში ჩართულობისა და მიღებული შედეგების, მათ შორის გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, თუმცა მოთხოვნათა სრულყოფილი პროგნოზირება, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ქვეპროგრამათა შესრულების მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ საჭიროებათა გათვალისწინებით ხორციელდება ბიუჯეტის დაზუსტება. ამასთანავე პროგრამის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“, ისევე როგორც სხვა მოქმედი ქვეპროგრამების, ფარგლებში მოქალაქეთა დაფინანსება ხდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით, მათ შორის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებისათვის.

ა) ქვეპროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა“ 2018 წელს ამოქმედდა და მიზნად ისახავს სხვადასხვა საჭიროებების მქონე პირთათვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას დამხმარე/მოვლის საშუალებათა (20 სახეობა, მათ შორის ფუნქციური სამედიცინო საწოლის) შესაძენად

ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ბენეფიციართა და მათი ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერის, გაძლიერების გზით. დამხმარე საშუალებათა ნუსხა ყოველწლიურად მზარდია მოთხოვნათა ანალიზის გათვალისწინებით. რაც შეეხება ფუნქციური საწოლით მოქალაქეთა უზრუნველყოფას 2024 საბიუჯეტო წლის მიმდინარე პერიოდისათვის უკვე დაფინანსებულია 103 ბენეფიციარი. აქვე მოგაწვდით სტატისტიკას: 2019 წელი - 89 ბენეფიციარი; 2020 წ - 91 ბენეფიციარი; 2021 წ - 95 ბენეფიციარი; 2022 წ - 83 ბენეფიციარი; 2023 წ - 195 ბენეფიციარი.

ბ) რაც შეეხება ქვეპროგრამას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა“, სავარძელ-ეტლების მიწოდება გრძელდება შეუფერხებლად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წლიდან 2024 წლის მაისის მდგომარეობით დაფინანსებულია:

N	დასახელება	ერთეულის საშუალო ფასი	2019	2020	2021	2022	2023	2024
1	ელექტრო სავარძელ-ეტლი	4316	25	18	19	24	25	28
2	ოთახის სავარძელ-ეტლი	450	156	120	172	141	218	121
3	მექანიკური სავარძელ-ეტლი შშმ პირთათვის	760	112	107	106	97	99	93
4	პედიატრიული სავარძელ-ეტლი	2650	-	-	-	19	15	12

პატივისცემით,

ნინო ნიჟარაძე

მინისტრი

ხელმძღვანელობა

https://edocument.ge/AdjaraGov/public5165-05-2-202406251607

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE